სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

20 იანვარი, 2026 წელი

ბრძანება №01-02/15

ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებელთან და ბსუ-ს პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, საქართველოს შრომის კოდექსის, „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 ოქტომბრის №159/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის წესისა და პირობების", საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 ოქტომბრის №161/ნ ბრძანებით დამტკიცებული **„**პროფესიული განათლების მასწავლებლის ეთიკის კოდექსის", საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 ოქტომბრის №162/ნ ბრძანებით დამტკიცებული **„**პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის**"**, **„**ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 08 სექტემბრის №07-01/41 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკის", ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 09 სექტემბრის №02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესის", ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 21 ნოემბრის №01-08/169 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 12 სექტემბრის №06-01/64 დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. **დამტკიცდეს** ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ **პროფესიული განათლების მასწავლებელთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულებების ფორმები,** წინამდებარე ბრძანების დანართების შესაბამისად:

1.1. **დანართი №1** - პროფესიული განათლების მასწავლებელთან გასაფორმებელი **წინარე** შრომითი ხელშეკრულების ფორმა (პირობითი ხელშეკრულება);

1.2. **დანართი №2** - პროფესიული განათლების მასწავლებელთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულების ფორმა;

1.3. **დანართი №3** - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან გასაფორმებელი **შრომითი ხელშეკრულების** ფორმა;

2. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი:

ა) ,,პროფესიული განათლების მასწავლებელთან დასადები შრომითი ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 15 თებერვლის №01-02/16 ბრძანება;

ბ) ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 27 ივნისის №01-02/52 ბრძანება.

3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში - იურიდიული ცნობარი/საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები/ რექტორის ბრძანებები/პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის რეგულაციების ველში).

4. ბრძანება დაეგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ–ს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არუშიძე**

,,ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებელთან და ბსუ-ს პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 20 იანვრის №01-02/15 ბრძანების

დანართი №1

(პროფესიული განათლების მასწავლებელთან
*გასაფორმებელი **წინარე შრომითი** ხელშეკრულების ფორმა)*

წინარე
შრომითი ხელშეკრულება №

ქ. ბათუმი ------- ---------- -------
რიცხვი, თვე, წელი

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში „**ბსუ**“/„უნივერსიტეტი“/„**დამსაქმებელი“),** წარმოდგენილი რექტორის _____ მიერ და

მეორე მხრივ, _____ _____ (შემდეგში **„დასაქმებული“)** ვდებთ **წინარე** შრომით ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. წინარე ხელშეკრულების საგანი და ზოგადი დებულებები

1.1. წინარე შრომითი ხელშეკრულების საგანია ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო **პროგრამის „**----------**“** (შემდეგში - პროგრამა) **მოდულის „**----------**“** (შემდეგში - მოდული) **განსახორციელებლად** მოსაწვევ პირთან **(შემდეგში - „პროფესიული განათლების მასწავლებელი“) სამომავლო შრომითი ურთიერთობის** (შემდეგში „შრომითი საქმიანობა“) **რეგულაცია** (მომავალში ძირითადი შრომითი ხელშეკრულების გაფორმებაზე მხარეთა შეთანხმება).

1.2. დასაქმებული შრომით საქმიანობას წარმართავს ამ ხელშეკრულების, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული - „სამუშაო დატვირთვის შესახებ შეთანხმების“ ფორმის შევსების, „პროფესიული განათლების მასწავლებლის“ საათობრივი სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

1.3. დასაქმებულის შრომითი საქმიანობის დაწყებისა და დასრულების დრო განისაზღვრება შესაბამისი მოდულის განხორციელების ვადების მიხედვით, რომელიც აისახება „სამუშაო დატვირთვის შესახებ შეთანხმებაში“ და პროფესიული განათლების მასწავლებლის საათობრივი სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებაში.

1.4. „შეთანხმება სამუშაო დატვირთვის შესახებ“ ფორმდება და საათობრივი სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის სამართლებრივი აქტი მზადდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის“ შესაბამისად.

1.5. წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია ბსუ-ს შინაგანაწესი, რომელსაც დასაქმებული გაეცნო ამ ხელშეკრულების ხელმოწერამდე. ბსუ-ს დასაქმებული ვალდებულია სპეციალური მითითების გარეშე დაიცვას ბსუ-ს შინაგანაწესი და ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტები, რომლებიც დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობის შესრულებას უკავშირდება.

1.6. **ბსუ-ს შინაგანაწესით განისაზღვრება** (რეგულირდება):

ა) შრომითი ურთიერთობის შესახებ ზოგადი დებულებები (მიღება/შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა); შრომითი ურთიერთობის სუბიექტების (დასაქმებული/დამსაქმებელი) უფლება-მოვალეობები; თანამდებობრივი შეუთავსებლობა; პერსონალის შეფასების წესი; სამუშაო დღის/კვირის და შესვენების/დასვენების ხანგრძლივობა; სამუშაოს დაწყების და დამთავრების დრო; სამუშაო დროის აღრიცხვა; ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი (ზეგანაკვეთური სამუშაოს საათობრივი ანაზღაურება ხორციელდება ხელფასის/თანამდებობრივი სარგოს/შრომის ანაზღაურების საშუალო საათობრივი განაკვეთის 1.5-ის ოდენობით, ბსუ-ს შინაგანაწესის მე-13 მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტებით დადგენილი წესის და პირობების შესაბამისად); სამსახურში დაგვიანების/გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი; შვებულებების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; მივლინების ადმინისტრირების წესი; შრომის ანაზღაურების გაცემის დრო, ადგილი და წესი; პერსონალის წახალისების და დისციპლინური საქმისწარმოების წესი; დასაქმებულის განცხადების/საჩივრის განხილვის წესი;

ბ) უნივერსიტეტში სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შრომითი საქმიანობისათვის უსაფრთხო გარემოს და ჯანსაღი პირობების შესახებ ზოგადი დებულებები, მათ შორის ყოველგვარი დისკრიმინაციის, შევიწროების (მათ შორის სექსუალური შევიწროების) და სიძულვილის ენის გამოყენების აკრძალვის წესი;

გ) უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საინფორმაციო და საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის და ხელმისაწვდომობის წესი.

1.7. ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებლის **სამუშაო ადგილია** ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ადმინისტრაციის სამუშაო ადგილი) - ბსუ-ს №6 კორპუსი, მდებარე ქალაქ ბათუმში, ლეონიძის ქ. №15, ხოლო ბსუ-ს იურიდიული მისამართია - ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35 (კორპუსები №1-№3, მათ შორის ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა), **ასევე ბსუ-ს სარგებლობაში არსებული სხვა ფართი (პრაქტიკის ობიექტი/**დაწესებულება, სადაც წარიმართება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ბსუ-ს და ამ ობიექტს/დაწესებულებას შორის გაფორმებული მემორანდუმის/ხელშეკრულების შესაბამისად).

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. დასაქმებული აცხადებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე გაეცნო ბსუ-ს წესდებას, ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკას, ბსუ-ს ეთიკის კოდექსს, ბსუ-ს შინაგანაწესს (რომელიც განიხილება ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად), ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკას, ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციას, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებულ „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესს“, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებულ „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს“, რომლებიც განთავსებულია ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე – www.bsu.edu.ge (ველში „იურიდიული ცნობარი“ და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ველში „მარეგულირებელი აქტები“).

2.2. დასაქმებული ვალდებულია:

2.2.1. სამუშაო შეასრულოს პირადად, დროულად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის (შემდეგში - მინისტრის) ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მასწავლებლის ეთიკის კოდექსის“, მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული

განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის", ასევე ბსუ-ს ეთიკის კოდექსის, ბსუ-ს შინაგანაწესის, ბსუ-ს მართვის ორგანოთა სამართლებრივი აქტებით დამტკიცებული ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობების/შრომითი საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების მოთხოვნების დაცვით;

2.2.2. სამუშაო შეასრულოს პროფესიული განათლების მასწავლებლის საათობრივი სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ სამუშაო ადგილზე (დატვირთვის ბრძანებაში მიეთითება ადგილი/მისამართი, სადაც ხორციელდება მოდული) და შესაბამისი მოდულის სასწავლო გეგმით (კალენდარული გეგმის) განსაზღვრული განრიგის (კალენდარი) მიხედვით;

2.2.3. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად შეიმუშავოს და აწარმოოს კალენდარული გეგმა, განახორციელოს შედეგის/შედეგების დადასტურება და მოდულის სწავლის შედეგის/შედეგების დამატებითი/განმეორებით დადასტურება (საჭიროების შემთხვევაში);

2.2.4. პროფესიულ სტუდენტებს პირველ საკონტაქტო საათზე გააცნოს განსახორციელებელი მოდულის შინაარსი, შედეგები, განხორციელების მიდგომები, უსაფრთხოების წესები, სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი და სწავლის შედეგების დადასტურების ძირითადი პრინციპები;

2.2.5. მოდულის სასწავლო რესურსი გამოიყენოს უნივერსიტეტში დადგენილი ფორმითა და წესით; მიიღოს ყველა გონივრული ზომა სასწავლო გეგმით დადგენილ ვადებში პროფესიული სტუდენტის ცოდნისა და მიღწევების სამართლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად და შეფასების პროცესში გამოიყენოს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით/მოდულით გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმები, შეავსოს და დადგენილ ვადებში წარადგინოს ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული დოკუმენტები;

2.2.6. პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობა წარმართოს „პროფესიული განათლების მასწავლებლის ეთიკის კოდექსით" განსაზღვრული ძირითადი პრინციპების და ღირებულებების დაცვით: კეთილსინდისიერად, პატიოსნად, პროფესიონალურად; პროფესიულ საქმიანობაში იყოს მიუკერძოებელი, ობიექტური, პატივი სცეს სხვათა უფლებებს და იზრუნოს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიის იმიჯსა და რეპუტაციაზე;

2.2.7. პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის განხორციელებისას:

ა) ხელი შეუწყოს ნდობისა და პატივისცემის კულტურის დამკვიდრებას ბსუ-ში; ზოგადსაკაცობრიო (პლურალიზმი, ტოლერანტობა, დემოკრატია), მულტიკულტურული, მულტიეთნიკური, გენდერული თანასწორობის ღირებულებების დამკვიდრებას;

ბ) დაიცვას ბსუ-ს მიერ დადგენილი შინაგანაწესი და უსაფრთხოების წესები;

გ) უზრუნველყოს ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც გამორიცხავს ძალადობასა და დისკრიმინაციას რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად;

დ) დაიცვას პროფესიული საქმიანობის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის (მათ შორის, პერსონალური მონაცემების) კონფიდენციალურობა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) პროფესიული საქმიანობისას (მათ შორის, საგანმანათლებლო რესურსების შექმნისა და გავრცელების პროცესში) დაიცვას სხვა პირთა ინტელექტუალური საკუთრება, მათ შორის გამოგონებები და საავტორო უფლებები;

ვ) იზრუნოს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე, მუდმივად გაეცნოს სფეროში მიმდინარე სიახლეებს;

ზ) ხელი შეუწყოს პროფესიული რეპუტაციის დაცვას და თავი შეიკავოს ისეთი ქცევისგან, რომელსაც შეიძლება თან ახლდეს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიის დისკრედიტაცია;
თ) გაუფრთხილდეს ბსუ-ს მატერიალურ და საგანმანათლებლო რესურსს და გამოიყენოს მხოლოდ დანიშნულებისამებრ (დაუშვებელია მატერიალური და სასწავლო რესურსის გამოყენება პირადი მიზნებისთვის). რესურსების გამოყენებისას გაითვალისწინოს გარემოსდაცვითი და მდგრადი განვითარების პრინციპები.
2.2.8. პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს მოექცეს ღირსეულად და პატივისცემით, იზრუნოს მათი ჯანმრთელობის დაცვაზე და უსაფრთხოებაზე; პროფესიულ სტუდენტებთან/მსმენელებთან, პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მშობელთან ან სხვა კანონიერ წარმომადგენელთან, ასევე ბსუ-ს ადმინისტრაციასთან, კოლეგებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობისას შეასრულოს მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მასწავლებლის ეთიკის კოდექსით" და ბსუ-ს ეთიკის კოდექსით განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლის ვალდებულებები;
2.2.9. დაიცვას შრომის დისციპლინა და რაციონალურად გამოიყენოს სამუშაო დრო; რეგულარულად შეამოწმოს სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტა/ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებული სხვა ელექტრონული რესურსები და კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს შესაბამისი რეაგირება/აქტივობა;
2.2.10. დაიცვას უნივერსიტეტში ყოველგვარი დისკრიმინაციის, შევიწროების (მათ შორის სექსუალური შევიწროების) და სიძულვილის ენის გამოყენების აკრძალვის წესები; თანამშრომლებთან კომუნიკაციისას გამოიჩინოს თავაზიანობა და კოლეგიალობა, დაეხმაროს ნაკლები გამოცდილების მქონე ან ახალდასაქმებულ კოლეგას ადაპტირდეს სამუშაო გარემოში;
2.2.11. აცნობოს დამსაქმებელს, შრომითი ურთიერთობის გამომრიცხავი იმ გარემოებების შესახებ, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით და ბსუ-ს შინაგანაწესით; კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში და დამსაქმებლის მოთხოვნით წარმოადგინოს ნასამართლობის ცნობა, რაც გათვალისწინებულია ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონისა და ამ კანონის აღსრულებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის №463 დადგენილებით;
2.2.12. აცნობოს დამსაქმებელს და წარუდგინოს მის პირად საქმეში განთავსებისათვის, დასაქმებულის პროფესიული განვითარების ღონისძიებებში (ტრენინგები) მონაწილეობის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტები (სერტიფიკატი, ცნობა ან სხვა), ასევე პერსონალური მონაცემების (საკონტაქტო ინფორმაციის) ცვლილების შემთხვევაში - განახლებული ინფორმაცია;
2.2.13. რეგულარულად გაეცნოს წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნულ სამართლებრივ აქტებს და მათში შეტანილ ცვლილებებს, რომლებიც განთავსდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.bsu.edu.ge) და დასაქმებულს მიეწოდება ბსუ-ს ელექტრონული საქმისწარმოების/წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნულ ელექტრონულ მისამართზე/სხვა ელექტრონული რესურსის საშუალებით;
2.2.14. შეასრულოს სხვა ვალდებულებები/მოთხოვნები/ფუნქცია-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით, საქმისწარმოების ინსტრუქციით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულის) განხორციელების/ბსუ-ში პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომითი საქმიანობისა და სწავლების/სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ბსუ-ს მართვის ორგანოთა სხვა სამართლებრივი აქტებით.

2.3. დასაქმებულს უფლება აქვს:

ა) გაეცნოს ყველა სამართლებრივ აქტს და დოკუმენტს, რომლითაც განსაზღვრულია მისი ფუნქციები და უფლება-მოვალეობები;

ბ) მოითხოვოს შრომისათვის სათანადო გარემო, შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობები; იყოს დაცული ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისგან; მიიღოს და მისთვის ხელმისაწვდომი იყოს სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა, საინფორმაციო, მატერიალური და საბიბლიოთეკო რესურსი, ტექნიკური საშუალებები და დოკუმენტაცია;

გ) ისარგებლოს სამუშაოზე შესვენების დროით, სამუშაოზე გამოცხადებისათვის დადგენილი შეღავათებით, დასვენების/უქმე დღეებით, მივლინების, ანაზღაურებადი/არაანაზღაურებადი შვებულებების გამოყენების უფლებებით, ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკის, ბსუ-ს შინაგანაწესის, ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

დ) მიიღოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული შრომის ანაზღაურება, საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს შინაგანაწესის შესაბამისად; ასევე ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი ანაზღაურება, ბსუ-ს შინაგანაწესით დადგენილი წესით და ოდენობით (ზეგანაკვეთური შრომის საათობრივი ანაზღაურება ხორციელდება შრომის ანაზღაურების საშუალო საათობრივი განაკვეთის 1.5-ის ოდენობით, ბსუ-ს შინაგანაწესის მე-13 მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტებით დადგენილი წესის და პირობების შესაბამისად);

ე) ისარგებლოს პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის უფლებით, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული პროფესიული განვითარების შესახებ რეგულაციის შესაბამისად;

ვ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს შრომის კოდექსით, ბსუ-ს ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით ან/და საუნივერსიტეტო სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებებით.

2.4. დამსაქმებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს დასაქმებულს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით, ბსუ-ს შესაბამისი სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულება, ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში - გაატაროს მის მიმართ საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ღონისძიებები;

ბ) დასაქმებულის პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენის, პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების ან/და წახალისების მიზნით შეაფასოს დასაქმებული, საქართველოს კანონმდებლობისა და საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისად;

გ) დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების ღონისძიებები, ბსუ-ს შინაგანაწესის და პერსონალის პროფესიული განვითარებისა და წახალისების შესახებ სხვა საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისად, ხოლო დასაქმებულის მიერ ბსუ-ს ეთიკის კოდექსის დარღვევის, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში, გაატაროს მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები, საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს შინაგანაწესის შესაბამისად;

დ) გამოიყენოს და დაამუშაოს დასაქმებულის პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტაცია/ინფორმაცია, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული შრომითი ურთიერთობის მიზნებისათვის, ,,ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის“ და ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

ე) განახორციელოს სხვა უფლებამოსილება, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდების, ეთიკის კოდექსის, პერსონალის მართვის პოლიტიკის, შინაგანაწესის ან/და უნივერსიტეტის სხვა მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების მოთხოვნებიდან.

2.5. დამსაქმებელი ვალდებულია:

ა) შექმნას და დაიცვას დასაქმებულის შრომისათვის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობები; შეუქმნას დასაქმებულებს ხელშემწყობი პირობები და მოტივაციის მიმცემი სამუშაო გარემო, არ დაუშვას დისკრიმინაცია; უზრუნველყოს უნივერსიტეტში გენდერულ თანასწორობასა და

ოჯახის ღირებულებაზე ორიენტირებული, ღია, ინკლუზიური და ინტერკულტურული გარემოს არსებობა;
ბ) უზრუნველყოს დასაქმებულთათვის კარიერული წინსვლისა და განვითარების თანაბარი ხელმისაწვდომობა, ხელი შეუწყოს დასაქმებულის პროფესიულ/კვალიფიკაციის ზრდას, მის ხელთ არსებული შესაძლებლობისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში;
გ) ხელი შეუწყოს დასაქმებულის მიერ კუთვნილი შვებულებებით, ასევე საქართველოს კანონმდებლობით ან/და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული შეღავათებით სარგებლობას;
დ) უზრუნველყოს დასაქმებულის შრომის ანაზღაურების გაცემა, საქართველოს კანონმდებლობის, საუნივერსიტეტო რეგულაციებისა და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად;
ე) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს წესდებით, ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით და საუნივერსიტეტო რეგულაციებით დადგენილი სხვა მოთხოვნები, დასაქმებულის უფლებების რეალიზებისათვის.

მუხლი 3. შრომის ანაზღაურება

3.1. პროფესიული განათლების მასწავლებლის (დასაქმებულის) 1 (ერთი) <u>საათის შრომის საათობრივი ანაზღაურების ოდენობა (ტარიფი)</u> შეადგენს: ---------- **ლარს,** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით (<u>საფუძველი</u>: ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ---------- წლის ---------- ბრძანება).
3.2. პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურების ოდენობის (ტარიფის) ბსუ-ს სამართლებრივი აქტით ცვლილების შემთხვევაში, აისახება წინამდებარე შრომით ხელშეკრულებაში, მხარეთა შეთანხმების (შრომით ხელშეკრულებაში ცვლილების/დამატების შეტანის) გაფორმების გზით.
3.3. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შრომის ანაზღაურება გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით, დასაქმებულის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით, საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის“, ბსუ-ს შინაგანაწესის, დასაქმებულის შრომითი დატვირთვის შესახებ ბსუ-ს სამართლებრივი აქტის და დასაქმებულთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 4. ხელშეკრულების ვადა და შეწყვეტის საფუძვლები

4.1. ხელშეკრულება ძალაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ვადით (---------) **,** ხელშეკრულების/შრომითი ურთიერთობის შეწყვეტამდე;
4.2. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:
ა) პირადი განცხადება (წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი მოდულის დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე);
ბ) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;
გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
დ) ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულის) განხორციელების მარეგულირებელი ბსუ-ს მართვის ორგანოთა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევა;
ე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის ან მოდულის იმ კომპონენტის გაუქმება, რომლის წარმართვის მიზნით მოწვეულია პროფესიული განათლების მასწავლებელი;
ვ) მხარეთა შეთანხმება;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით ან/და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

მუხლი 5. პერსონალური მონაცემების დამუშავება **და სხვა დებულებები**

5.1. დასაქმებული წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით **აცხადებს თანხმობას,** ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის და ,,ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის" მოთხოვნათა დაცვით დამუშავდეს მისი პერსონალური მონაცემები, ამ ხელშეკრულებაში აღნიშნული შრომითი ურთიერთობის/საქმიანობის ფარგლებში კანონიერი საჭიროებიდან, მათ შორის ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონისა და ამ კანონის აღსრულებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის №463 დადგენილების, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციისა და წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნული სამართლებრივი აქტების მოთხოვნებიდან გამომდინარე.

5.2. დასაქმებული ხელშეკრულებაზე ხელმოწერით **აცხადებს**, **რომ არ არის** „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება და ანიჭებს დამსაქმებელს აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმების უფლებას.

5.3. წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნული **დასაქმებულის განაცხადი,** ბსუ-ს ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესის, ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის და ბსუ-ს სხვა ძირითადი **რეგულაციების გაცნობის შესახებ,** ასევე მისი **პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე წერილობითი თანხმობის** ხელმოწერილი ფორმა (ფორმები) ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია და ინახება დასაქმებულის პირად საქმეში.

5.4. მხარეთა შორის სადავო საკითხები მოგვარდება შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში - სასამართლო წესით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.5. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება დამსაქმებელთან (ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულში), ხოლო მეორე გადაეცემა დასაქმებულს.

5.6. **მხარეთა რეკვიზიტები/საკონტაქტო ინფორმაცია და ხელმოწერები:**

,,დამსაქმებელი"	**,,დასაქმებული"**
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	სახელი და გვარი _____
ს/კ _____	პ/ნ: _____
	მისამართი: _____
მისამართი: ქ. ბათუმი,	_____
რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35	ტელ: _____
	Email: _____
ბსუ-ს რექტორი	**საბანკო რეკვიზიტები:**
_____	_____
	_____
ხელმოწერა	ხელმოწერა

,,ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებელთან და ბსუ-ს პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 20 იანვრის №01-02/15 ბრძანების

დანართი №2

(პროფესიული განათლების მასწავლებელთან
გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულების ფორმა)

შრომითი ხელშეკრულება №

ქ. ბათუმი ------- ---------- -------

რიცხვი, თვე, წელი

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში „**ბსუ**“/„უნივერსიტეტი“/„**დამსაქმებელი“),** წარმოდგენილი რექტორის _____ მიერ და

მეორე მხრივ, _____ _____ (შემდეგში **„დასაქმებული“)** ვდებთ შრომით ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე შრომითი ხელშეკრულების საგანია ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო **პროგრამის „**----------**“** (შემდეგში - პროგრამა) **მოდულის „**---------- **“** (შემდეგში - მოდული) **განსახორციელებლად** მოწვეულ პირთან - **„პროფესიული განათლების მასწავლებელთან“ შრომითი ურთიერთობის** (შემდეგში „შრომითი საქმიანობა“) **რეგულაცია**.

1.2. დასაქმებული შრომით საქმიანობას წარმართავს ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სამუშაო დატვირთვის შესახებ შეთანხმების“ გაფორმების, „პროფესიული განათლების მასწავლებლის“ საათობრივი სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების და წინამდებარე შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

1.3. დასაქმებულის შრომითი საქმიანობის დაწყებისა და დასრულების დრო განისაზღვრება შესაბამისი მოდულის განხორციელების ვადების მიხედვით, რომელიც აისახება „სამუშაო დატვირთვის შესახებ შეთანხმებაში“ და პროფესიული განათლების მასწავლებლის **საათობრივი სამუშაო დატვირთვის** განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებაში.

1.4. საათობრივი სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ **ბსუ-ს რექტორის ბრძანებაში აისახება:** ა) მოწვეული პირის სტატუსი („პროფესიული განათლების მასწავლებელი“) და ბსუ-ში დაკავებული თანამდებობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ბ) შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მისი განხორციელების პერიოდი; გ) შესაბამისი მოდული (სასწავლო კურსი) კრედიტებში; დ) სამუშაოს შესრულების (მოდულის განხორციელების) ადგილი; ე) სამუშაოს შესრულების (მოდულის განხორციელების) პერიოდი; ვ) ჩასატარებელი სააუდიტორიო/საკონტაქტო სამუშაოებისა (ლექცია/პრაქტიკული/შეფასება/დამოუკიდებელი მუშაობა); ზ) სამუშაო დატვირთვის მოცულობა (ჩასატარებელი საათების რაოდენობა); თ) მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია.

1.5. ,,შეთანხმება სამუშაო დატვირთვის შესახებ" ფორმდება და საათობრივი სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის სამართლებრივი აქტი მზადდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის" შესაბამისად. დასაქმებულთან გაფორმებული „შეთანხმება სამუშაო დატვირთვის შესახებ" და დასაქმებულის საათობრივი სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება განიხილება წინამდებარე შრომითი ხელშეკრულების ნაწილად.

1.6. წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია ბსუ-ს **შინაგანაწესი**, რომელსაც **დასაქმებული** გაეცნო ამ ხელშეკრულების ხელმოწერამდე. ბსუ-ს დასაქმებული ვალდებულია სპეციალური მითითების გარეშე დაიცვას ბსუ-ს შინაგანაწესი და ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტები, რომლებიც დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობის შესრულებას უკავშირდება.

1.7. ბსუ-ს შინაგანაწესით განისაზღვრება (რეგულირდება):

ა) შრომითი ურთიერთობის შესახებ ზოგადი დებულებები (მიღება/შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა); შრომითი ურთიერთობის სუბიექტების (დასაქმებული/დამსაქმებელი) უფლება-მოვალეობები; თანამდებობრივი შეუთავსებლობა; პერსონალის შეფასების წესი; სამუშაო დღის/კვირის და შესვენების/დასვენების ხანგრძლივობა; სამუშაოს დაწყების და დამთავრების დრო; სამუშაო დროის აღრიცხვა; ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი (ზეგანაკვეთური სამუშაოს საათობრივი ანაზღაურება ხორციელდება ხელფასის/თანამდებობრივი სარგოს/შრომის ანაზღაურების საშუალო საათობრივი განაკვეთის 1.5-ის ოდენობით, ბსუ-ს შინაგანაწესის მე-13 მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტებით დადგენილი წესის და პირობების შესაბამისად); სამსახურში დაგვიანების/გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი; შვებულებების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; მივლინების ადმინისტრირების წესი; შრომის ანაზღაურების გაცემის დრო, ადგილი და წესი; პერსონალის წახალისების და დისციპლინური საქმისწარმოების წესი; დასაქმებულის განცხადების/საჩივრის განხილვის წესი;

ბ) უნივერსიტეტში სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შრომითი საქმიანობისათვის უსაფრთხო გარემოს და ჯანსაღი პირობების შესახებ ზოგადი დებულებები, მათ შორის ყოველგვარი დისკრიმინაციის, შევიწროების (მათ შორის სექსუალური შევიწროების) და სიძულვილის ენის გამოყენების აკრძალვის წესი;

გ) უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საინფორმაციო და საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის და ხელმისაწვდომობის წესი.

1.8. **ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილია ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვის და უწყვეტი განათლების ცენტრის ადმინისტრაციის სამუშაო ადგილი) - ბსუ-ს №6 კორპუსი, მდებარე ქალაქ ბათუმში, ლეონიძის ქ. №15, ხოლო ბსუ-ს იურიდიული მისამართია - ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35 (კორპუსები №1-№3, მათ შორის ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა), **ასევე ბსუ-ს სარგებლობაში არსებული სხვა ფართი (პრაქტიკის ობიექტი/**დაწესებულება, სადაც წარიმართება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ბსუ-ს და ამ ობიექტს/დაწესებულებას შორის გაფორმებული მემორანდუმის/ხელშეკრულების შესაბამისად).

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. დასაქმებული აცხადებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე გაეცნო ბსუ-ს წესდებას, ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკას, ბსუ-ს **ეთიკის კოდექსს, ბსუ-ს შინაგანაწესს** (რომელიც განიხილება ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად), ბსუ-ში

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკას, ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციას, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებულ ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესს", ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებულ ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს", რომლებიც განთავსებულია ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე – www.bsu.edu.ge (ველში ,,იურიდიული ცნობარი" და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ველში ,,მარეგულირებელი აქტები").

2.2. დასაქმებული ვალდებულია:

2.2.1. სამუშაო შეასრულოს პირადად, დროულად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის (შემდეგში - მინისტრის) ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მასწავლებლის ეთიკის კოდექსის", მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული **„**პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის", ასევე ბსუ-ს ეთიკის კოდექსის, ბსუ-ს შინაგანაწესის, ბსუ-ს მართვის ორგანოთა სამართლებრივი აქტებით დამტკიცებული ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობების/შრომითი საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების მოთხოვნების დაცვით;

2.2.2. სამუშაო შეასრულოს პროფესიული განათლების მასწავლებლის საათობრივი სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ სამუშაო ადგილზე (დატვირთვის ბრძანებაში მიეთითება ადგილი/მისამართი, სადაც ხორციელდება მოდული) და შესაბამისი მოდულის სასწავლო გეგმით (კალენდარული გეგმის) განსაზღვრული განრიგის (კალენდრის) მიხედვით;

2.2.3. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად შეიმუშავოს და აწარმოოს კალენდარული გეგმა, განახორციელოს შედეგის/შედეგების დადასტურება და მოდულის სწავლის შედეგის/შედეგების დამატებითი/განმეორებით დადასტურება (საჭიროების შემთხვევაში);

2.2.4. პროფესიულ სტუდენტებს პირველ საკონტაქტო საათზე გააცნოს განსახორციელებელი მოდულის შინაარსი, შედეგები, განხორციელების მიდგომები, უსაფრთხოების წესები, სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი და სწავლის შედეგების დადასტურების ძირითადი პრინციპები;

2.2.5. მოდულის სასწავლო რესურსი გამოიყენოს უნივერსიტეტში დადგენილი ფორმითა და წესით; მიიღოს ყველა გონივრული ზომა სასწავლო გეგმით დადგენილ ვადებში პროფესიული სტუდენტის ცოდნისა და მიღწევების სამართლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად და შეფასების პროცესში გამოიყენოს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით/მოდულით გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმები, შეავსოს და დადგენილ ვადებში წარადგინოს ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული დოკუმენტები;

2.2.6. პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობა წარმართოს „პროფესიული განათლების მასწავლებლის ეთიკის კოდექსით" განსაზღვრული ძირითადი პრინციპების და ღირებულებების დაცვით: კეთილსინდისიერად, პატიოსნად, პროფესიონალურად; პროფესიულ საქმიანობაში იყოს მიუკერძოებელი, ობიექტური, პატივი სცეს სხვათა უფლებებს და იზრუნოს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიის იმიჯსა და რეპუტაციაზე;

2.2.7. პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის განხორციელებისას:

ა) ხელი შეუწყოს ნდობისა და პატივისცემის კულტურის დამკვიდრებას ბსუ-ში; ზოგადსაკაცობრიო (პლურალიზმი, ტოლერანტობა, დემოკრატია), მულტიკულტურული, მულტიეთნიკური, გენდერული თანასწორობის ღირებულებების დამკვიდრებას;

ბ) დაიცვას ბსუ-ს მიერ დადგენილი შინაგანაწესი და უსაფრთხოების წესები;

გ) უზრუნველყოს ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც გამორიცხავს ძალადობასა და დისკრიმინაციას რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის,

რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად;

დ) დაიცვას პროფესიული საქმიანობის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის (მათ შორის, პერსონალური მონაცემების) კონფიდენციალურობა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) პროფესიული საქმიანობისას (მათ შორის, საგანმანათლებლო რესურსების შექმნისა და გავრცელების პროცესში) დაიცვას სხვა პირთა ინტელექტუალური საკუთრება, მათ შორის გამოგონებები და საავტორო უფლებები;

ვ) იზრუნოს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე, მუდმივად გაეცნოს სფეროში მიმდინარე სიახლეებს;

ზ) ხელი შეუწყოს პროფესიული რეპუტაციის დაცვას და თავი შეიკავოს ისეთი ქცევისგან, რომელსაც შეიძლება თან ახლდეს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიის დისკრედიტაცია;

თ) გაუფრთხილდეს ბსუ-ს მატერიალურ და საგანმანათლებლო რესურსს და გამოიყენოს მხოლოდ დანიშნულებისამებრ (დაუშვებელია მატერიალური და სასწავლო რესურსის გამოყენება პირადი მიზნებისთვის). რესურსების გამოყენებისას გაითვალისწინოს გარემოსდაცვითი და მდგრადი განვითარების პრინციპები.

<u>2.2.8.</u> პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს მოექცეს ღირსეულად და პატივისცემით, იზრუნოს მათი ჯანმრთელობის დაცვაზე და უსაფრთხოებაზე; პროფესიულ სტუდენტებთან/მსმენელებთან, პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მშობელთან ან სხვა კანონიერ წარმომადგენელთან, ასევე ბსუ-ს ადმინისტრაციასთან, კოლეგებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობისას შეასრულოს მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მასწავლებლის ეთიკის კოდექსით“ და ბსუ-ს ეთიკის კოდექსით განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლის ვალდებულებები;

<u>2.2.9.</u> დაიცვას შრომის დისციპლინა და რაციონალურად გამოიყენოს სამუშაო დრო; რეგულარულად შეამოწმოს სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტა/ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებული სხვა ელექტრონული რესურსები და კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს შესაბამისი რეაგირება/აქტივობა;

<u>2.2.10.</u> დაიცვას უნივერსიტეტში ყოველგვარი დისკრიმინაციის, შევიწროების (მათ შორის სექსუალური შევიწროების) და სიძულვილის ენის გამოყენების აკრძალვის წესები; თანამშრომლებთან კომუნიკაციისას გამოიჩინოს თავაზიანობა და კოლეგიალობა, დაეხმაროს ნაკლები გამოცდილების მქონე ან ახალდასაქმებულ კოლეგას ადაპტირდეს სამუშაო გარემოში;

<u>2.2.11.</u> აცნობოს დამსაქმებელს, შრომითი ურთიერთობის გამომრიცხავი იმ გარემოებების შესახებ, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით და ბსუ-ს შინაგანაწესით; კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში და დამსაქმებლის მოთხოვნით წარმოადგინოს ნასამართლობის ცნობა, რაც გათვალისწინებულია ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ კანონის აღსრულებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის №463 დადგენილებით;

<u>2.2.12.</u> **<u>აცნობოს დამსაქმებელს და წარუდგინოს მის პირად საქმეში</u>** განთავსებისათვის, დასაქმებულის პროფესიული განვითარების ღონისძიებებში (ტრენინგები) მონაწილეობის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტები (სერტიფიკატი, ცნობა ან სხვა), ასევე პერსონალური მონაცემების (საკონტაქტო ინფორმაციის) ცვლილების შემთხვევაში - განახლებული ინფორმაცია;

<u>2.2.13.</u> რეგულარულად გაეცნოს წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნულ სამართლებრივ აქტებს (რეგულაციებს) და მათში შეტანილ ცვლილებებს, რომლებიც განთავსდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.bsu.edu.ge) და დასაქმებულს მიეწოდება ბსუ-ს

ელექტრონული საქმისწარმოების/წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნულ ელექტრონულ მისამართზე/სხვა ელექტრონული რესურსის საშუალებით;

2.2.14. შეასრულოს სხვა ვალდებულებები/მოთხოვნები/ფუნქცია-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით, საქმისწარმოების ინსტრუქციით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულის) განხორციელების/ბსუ-ში პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომითი საქმიანობისა და სწავლების/სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ბსუ-ს მართვის ორგანოთა სხვა სამართლებრივი აქტებით.

2.3. დასაქმებულს უფლება აქვს:

ა) გაეცნოს ყველა სამართლებრივ აქტს და დოკუმენტს, რომლითაც განსაზღვრულია მისი ფუნქციები და უფლება-მოვალეობები;

ბ) მოითხოვოს შრომისათვის სათანადო გარემო, შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობები; იყოს დაცული ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისგან; მიიღოს და მისთვის ხელმისაწვდომი იყოს სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა, საინფორმაციო, მატერიალური და საბიბლიოთეკო რესურსი, ტექნიკური საშუალებები და დოკუმენტაცია;

გ) ისარგებლოს სამუშაოზე შესვენების დროით, სამუშაოზე გამოცხადებისათვის დადგენილი შეღავათებით, დასვენების/უქმე დღეებით, მივლინების, ანაზღაურებადი/არაანაზღაურებადი შვებულებების გამოყენების უფლებებით, ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკის, ბსუ-ს შინაგანაწესის, ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

დ) მიიღოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული შრომის ანაზღაურება, საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს შინაგანაწესის შესაბამისად; ასევე ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი ანაზღაურება, ბსუ-ს შინაგანაწესით დადგენილი წესით და ოდენობით (ზეგანაკვეთური შრომის საათობრივი ანაზღაურება ხორციელდება შრომის ანაზღაურების საშუალო საათობრივი განაკვეთის 1.5-ის ოდენობით, ბსუ-ს შინაგანაწესის მე-13 მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტებით დადგენილი წესის და პირობების შესაბამისად);

ე) ისარგებლოს პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის უფლებით, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული პროფესიული განვითარების შესახებ რეგულაციის შესაბამისად;

ვ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს შრომის კოდექსით, ბსუ-ს ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით ან/და საუნივერსიტეტო სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებებით.

2.4. დამსაქმებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს დასაქმებულს „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით, ბსუ-ს შესაბამისი სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულება, ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში - გაატაროს მის მიმართ საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ღონისძიებები;

ბ) დასაქმებულის პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენის, პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების ან/და წახალისების მიზნით შეაფასოს დასაქმებული, საქართველოს კანონმდებლობისა და საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისად;

გ) დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების ღონისძიებები, ბსუ-ს შინაგანაწესის და პერსონალის პროფესიული განვითარებისა და წახალისების შესახებ სხვა საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისად, ხოლო დასაქმებულის მიერ ბსუ-ს ეთიკის კოდექსის დარღვევის, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში გაატაროს მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები, საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს შინაგანაწესის შესაბამისად;

დ) გამოიყენოს და დაამუშაოს დასაქმებულის პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტაცია/ინფორმაცია, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული შრომითი

ურთიერთობის მიზნებისათვის, ,,ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის" და ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად;

ე) განახორციელოს სხვა უფლებამოსილება, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდების, ეთიკის კოდექსის, პერსონალის მართვის პოლიტიკის, შინაგანაწესის ან/და უნივერსიტეტის სხვა მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების მოთხოვნებიდან.

2.5. დამსაქმებელი ვალდებულია:

ა) შექმნას და დაიცვას დასაქმებულის შრომისათვის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობები; შეუქმნას დასაქმებულებს ხელშემწყობი პირობები და მოტივაციის მიმცემი სამუშაო გარემო, არ დაუშვას დისკრიმინაცია; უზრუნველყოს უნივერსიტეტში გენდერულ თანასწორობასა და ოჯახის ღირებულებაზე ორიენტირებული, ღია, ინკლუზიური და ინტერკულტურული გარემოს არსებობა;

ბ) უზრუნველყოს დასაქმებულთათვის კარიერული წინსვლისა და განვითარების თანაბარი ხელმისაწვდომობა, ხელი შეუწყოს დასაქმებულის პროფესიულ/კვალიფიკაციის ზრდას, მის ხელთ არსებული შესაძლებლობისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში;

გ) ხელი შეუწყოს დასაქმებულის მიერ კუთვნილი შვებულებებით, ასევე საქართველოს კანონმდებლობით ან/და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული შეღავათებით სარგებლობას;

დ) უზრუნველყოს დასაქმებულის შრომის ანაზღაურების გაცემა, საქართველოს კანონმდებლობის, საუნივერსიტეტო რეგულაციებისა და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად;

ე) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს წესდებით, ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით და საუნივერსიტეტო რეგულაციებით დადგენილი სხვა მოთხოვნები, დასაქმებულის უფლებების რეალიზებისათვის.

მუხლი 3. შრომის ანაზღაურება

3.1. პროფესიული განათლების მასწავლებლის (დასაქმებულის) 1 (ერთი) <u>საათის შრომის საათობრივი ანაზღაურების ოდენობა (ტარიფი)</u> შეადგენს: ---------- **ლარს,** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით (<u>საფუძველი</u>: ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ---------- წლის ---------- ბრძანება).

3.2. პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურების ოდენობის (ტარიფის) ბსუ-ს სამართლებრივი აქტით ცვლილების შემთხვევაში, აისახება წინამდებარე შრომით ხელშეკრულებაში, მხარეთა შეთანხმების (შრომით ხელშეკრულებაში ცვლილების/დამატების შეტანის) გაფორმების გზით.

3.3. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შრომის ანაზღაურება გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით, დასაქმებულის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით, საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის", ბსუ-ს შინაგანაწესის, დასაქმებულის შრომითი დატვირთვის შესახებ ბსუ-ს სამართლებრივი აქტის და დასაქმებულთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 4. ხელშეკრულების ვადა და შეწყვეტის საფუძვლები

4.1. ხელშეკრულება ძალაშია ---------- დან ---------- მდე ვადით;

4.2. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება (წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი მოდულის დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე);
ბ) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;
გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
დ) ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულის) განხორციელების მარეგულირებელი ბსუ-ს მართვის ორგანოთა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევა;
ე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის ან მოდულის იმ კომპონენტის გაუქმება, რომლის წარმართვის მიზნით მოწვეულია პროფესიული განათლების მასწავლებელი;
ვ) მხარეთა შეთანხმება;
ზ) საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით ან/და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

მუხლი 5. პერსონალური მონაცემების დამუშავება **და სხვა დებულებები**

5.1. დასაქმებული წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით **აცხადებს თანხმობას,** ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის და ,,ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის" მოთხოვნათა დაცვით დამუშავდეს მისი პერსონალური მონაცემები, ამ ხელშეკრულებაში აღნიშნული შრომითი ურთიერთობის/საქმიანობის ფარგლებში კანონიერი საჭიროებიდან, მათ შორის ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონისა და ამ კანონის აღსრულებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის №463 დადგენილების, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციისა და წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნული სამართლებრივი აქტების მოთხოვნებიდან გამომდინარე.
5.2. დასაქმებული ხელშეკრულებაზე ხელმოწერით **აცხადებს**, **რომ არ არის** „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება და ანიჭებს დამსაქმებელს აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმების უფლებას.
5.3. წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნული **დასაქმებულის განაცხადი,** ბსუ-ს ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესის, ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის და ბსუ-ს სხვა ძირითადი **რეგულაციების გაცნობის შესახებ,** ასევე მისი **პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე წერილობითი თანხმობის** ხელმოწერილი ფორმა (ფორმები) ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია და ინახება დასაქმებულის პირად საქმეში.
5.4. მხარეთა შორის სადავო საკითხები მოგვარდება შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში - სასამართლო წესით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
5.5. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება დამსაქმებელთან (ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულში), ხოლო მეორე გადაეცემა დასაქმებულს.
5.6. **მხარეთა რეკვიზიტები/საკონტაქტო ინფორმაცია და ხელმოწერები:**

,,დამსაქმებელი" **,,დასაქმებული"**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ს/კ _____
მისამართი: ქ. ბათუმი,
რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35

ბსუ-ს რექტორი

_____

ხელმოწერა

სახელი და გვარი _____
პ/ნ: _____
მისამართი: _____
_____
ტელ: _____
Email: _____
საბანკო რეკვიზიტები:
_____

_____

ხელმოწერა

,,ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებელთან და ბსუ-ს პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 20 იანვრის №01-02/15 ბრძანების

დანართი №3

*(პროფესიული საგანმანათლებლო **პროგრამის ხელმძღვანელთან** გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულების ფორმა)*

შრომითი ხელშეკრულება №

ქ. ბათუმი ------- ---------- -------

რიცხვი, თვე, წელი

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში „**ბსუ**“/„უნივერსიტეტი“/„**დამსაქმებელი“),** წარმოდგენილი რექტორის _____ მიერ და

მეორე მხრივ, _____ _____ (შემდეგში **„დასაქმებული“/„პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი“)** ვდებთ შრომით ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე შრომითი ხელშეკრულების საგანია დასაქმებულის მიერ ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო **პროგრამის „**----------**“** (შემდეგში - პროგრამა) **ხელმძღვანელის ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებული შრომითი ურთიერთობის** (შემდეგში „შრომითი საქმიანობა“) **რეგულაცია**.

1.2. დასაქმებული შრომით საქმიანობას წარმართავს წინამდებარე შრომითი ხელშეკრულების, საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის“, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის“, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, ბსუ-ს ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესის, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ბსუ-ს მართვის ორგანოთა სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

1.3. წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია ბსუ-ს **შინაგანაწესი**, რომელსაც **დასაქმებული** გაეცნო ამ ხელშეკრულების ხელმოწერამდე. ბსუ-ს დასაქმებული ვალდებულია სპეციალური მითითების გარეშე დაიცვას ბსუ-ს შინაგანაწესი და ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტები, რომლებიც დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობის შესრულებას უკავშირდება.

1.4. ბსუ-ს შინაგანაწესით განისაზღვრება (რეგულირდება):

ა) შრომითი ურთიერთობის შესახებ ზოგადი დებულებები (მიღება/შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა); შრომითი ურთიერთობის სუბიექტების (დასაქმებული/დამსაქმებელი) უფლება-მოვალეობები; თანამდებობრივი შეუთავსებლობა; პერსონალის შეფასების წესი; სამუშაო დღის/კვირის და შესვენების/დასვენების ხანგრძლივობა; სამუშაოს დაწყების და დამთავრების დრო; სამუშაო დროის აღრიცხვა; ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი (ზეგანაკვეთური სამუშაოს საათობრივი ანაზღაურება ხორციელდება

ხელფასის/თანამდებობრივი სარგოს/შრომის ანაზღაურების საშუალო საათობრივი განაკვეთის 1.5-ის ოდენობით, ბსუ-ს შინაგანაწესის მე-13 მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტებით დადგენილი წესის და პირობების შესაბამისად); სამსახურში დაგვიანების/გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი; შვებულებების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; მივლინების ადმინისტრირების წესი; შრომის ანაზღაურების გაცემის დრო, ადგილი და წესი; პერსონალის წახალისების და დისციპლინური საქმისწარმოების წესი; დასაქმებულის განცხადების/საჩივრის განხილვის წესი;

ბ) უნივერსიტეტში სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შრომითი საქმიანობისათვის უსაფრთხო გარემოს და ჯანსაღი პირობების შესახებ ზოგადი დებულებები, მათ შორის ყოველგვარი დისკრიმინაციის, შევიწროების (მათ შორის სექსუალური შევიწროების) და სიძულვილის ენის გამოყენების აკრძალვის წესი;

გ) უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საინფორმაციო და საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის და ხელმისაწვდომობის წესი.

1.5. დასაქმებულის სამუშაო ადგილია ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვის და უწყვეტი განათლების ცენტრის ადმინისტრაციის სამუშაო ადგილი) - ბსუ-ს №6 კორპუსი, მდებარე ქალაქ ბათუმში, ლეონიძის ქ. №15, ხოლო ბსუ-ს იურიდიული მისამართია - ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35 (კორპუსები №1-№3, მათ შორის ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა), **ასევე ბსუ-ს სარგებლობაში არსებული სხვა ფართი (პრაქტიკის ობიექტი/**დაწესებულება, სადაც წარიმართება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ბსუ-ს და ამ ობიექტს/დაწესებულებას შორის გაფორმებული მემორანდუმის/ხელშეკრულების შესაბამისად).

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. დასაქმებული აცხადებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე გაეცნო ბსუ-ს წესდებას, ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკას, ბსუ-ს **ეთიკის კოდექსს, ბსუ-ს შინაგანაწესს** (რომელიც განიხილება ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად), ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკას, ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციას, „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესს", „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს", რომლებიც განთავსებულია ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე – www.bsu.edu.ge (ველში „იურიდიული ცნობარი" და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვის და უწყვეტი განათლების ცენტრის ველში - „მარეგულირებელი აქტები").

2.2. დასაქმებული ვალდებულია:

2.2.1. სამუშაო შეასრულოს პირადად, დროულად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს ეთიკის კოდექსის, ბსუ-ს შინაგანაწესის, ბსუ-ს მართვის ორგანოთა სამართლებრივი აქტებით დამტკიცებული ბსუ-ს პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობების/შრომითი საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების მოთხოვნების დაცვით;

2.2.2. შესრულოს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესით" განსაზღვრული **პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები,** მათ შორის:

ა) აქტიური მონაწილეობა მიიღოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების,

შეფასების, განვითარების და მასში ცვლილების განხორციელების პროცესში;
ბ) დაამუშაოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ ინფორმაცია და პერსონალის შერჩევის/მოწვევის საკითხებთან დაკავშირებით ითანამშრომლოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის (შემდეგში - ბსუ-ს პროფესიული ცენტრი) დირექტორთან და ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან;
გ) ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად უზრუნველყოს პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების პროფესიული განათლების სტანდარტებთან შესაბამისობას და ახდენს მათ შეფასება;
დ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში უზრუნველყოს პროფესიული განათლების მასწავლებლის, მოწვეული სპეციალისტების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული პირების/მხარეების ჩართულობა;
ე) აქტიურად მიიღოს მონაწილეობა პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის, ასევე მობილობის პროცესებში;
ვ) ითანამშრომლოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და მიაწოდოს მათ ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დეტალებთან და დარგის სიახლეებთან დაკავშირებით;
ზ) მუდმივი კონტაქტი ჰქონდეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ პროფესიულ სტუდენტებთან, მიაწოდოს მათ ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და მისი განხორციელების თავისებურებების შესახებ;
თ) ჩაერთოს პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა სახის ღონისძიებაში და მოაგვაროს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები;
ი) დაინტერესებულ პირს მიაწოდოს ინფორმაცია პროგრამის თავისებურებების შესახებ (მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლის გაგრძელებისა და დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის ხანგრძლივობა და ინტენსივობა, პროგრამის შინაარსი და მისი განხორციელების ფორმა, თანაგანმახორციელებელი ორგანიზაციები, დაფინანსების შესაძლებლობები და სხვა მახასიათებლები);
კ) პროგრამის განხორციელების შესახებ ანგარიში წარუდგინოს ცენტრის დირექტორსა და ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის განხორციელების პერიოდში მინიმუმ ერთხელ და ასევე, პროგრამის დასრულების შემდეგ;
ლ) ხელი შეუწყოს პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელთა პერსონალის საქმიანობა წარიმართოს „პროფესიული განათლების მასწავლებლის ეთიკის კოდექსით“ განსაზღვრული ძირითადი პრინციპების და ღირებულებების დაცვით;
მ) შეასრულოს შესაბამისი პროგრამის განხორციელების მართვასთან დაკავშირებით, საქართველოს კანონმდებლობით, ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესით“ ან/და ბსუ-ს მართვის ორგანოს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები.
2.2.3. დაიცვას უნივერსიტეტში ყოველგვარი დისკრიმინაციის, შევიწროების (მათ შორის სექსუალური შევიწროების) და სიძულვილის ენის გამოყენების აკრძალვის წესები; თანამშრომლებთან კომუნიკაციისას გამოიჩინოს თავაზიანობა და კოლეგიალობა, დაეხმაროს ნაკლები გამოცდილების მქონე ან ახალდასაქმებულ კოლეგას ადაპტირდეს სამუშაო გარემოში;
2.2.4. დაიცვას შრომის დისციპლინა და რაციონალურად გამოიყენოს სამუშაო დრო; რეგულარულად შეამოწმოს სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტა/ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებული სხვა ელექტრონული რესურსები და კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს შესაბამისი რეაგირება/აქტივობა;
2.2.5. აცნობოს დამსაქმებელს, შრომითი ურთიერთობის გამომრიცხავი იმ გარემოებების შესახებ, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით და ბსუ-ს შინაგანაწესით;

კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში და დამსაქმებლის მოთხოვნით წარმოადგინოს **ნასამართლობის ცნობა,** რაც გათვალისწინებულია ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონისა და ამ კანონის აღსრულებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის №463 დადგენილებით;

2.2.6. აცნობოს დამსაქმებელს და წარუდგინოს მის პირად საქმეში განთავსებისათვის, დასაქმებულის პროფესიული განვითარების ღონისძიებებში (ტრენინგები) მონაწილეობის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტები (სერტიფიკატი, ცნობა ან სხვა), ასევე პერსონალური მონაცემების (საკონტაქტო ინფორმაციის) ცვლილების შემთხვევაში - განახლებული ინფორმაცია;

2.2.7. რეგულარულად გაეცნოს წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნულ სამართლებრივ აქტებს (რეგულაციებს) და მათში შეტანილ ცვლილებებს, რომლებიც განთავსდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.bsu.edu.ge) და დასაქმებულს მიეწოდება ბსუ-ს ელექტრონული საქმისწარმოების/წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნულ ელექტრონულ მისამართზე/სხვა ელექტრონული რესურსის საშუალებით;

2.2.8. შეასრულოს სხვა ვალდებულებები/მოთხოვნები/ფუნქცია-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით, საქმისწარმოების ინსტრუქციით, **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის** შრომითი საქმიანობისა და სწავლების/სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ბსუ-ს მართვის ორგანოთა სამართლებრივი აქტებით.

2.3. დასაქმებულს უფლება აქვს:

ა) გაეცნოს ყველა სამართლებრივ აქტს და დოკუმენტს, რომლითაც განსაზღვრულია მისი ფუნქციები და უფლება-მოვალეობები;

ბ) მოითხოვოს შრომისათვის სათანადო გარემო, შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობები; იყოს დაცული ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისგან; მიიღოს და მისთვის ხელმისაწვდომი იყოს სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა, საინფორმაციო, მატერიალური და საბიბლიოთეკო რესურსი, ტექნიკური საშუალებები და დოკუმენტაცია;

გ) ისარგებლოს სამუშაოზე შესვენების დროით, სამუშაოზე გამოცხადებისათვის დადგენილი შეღავათებით, დასვენების/უქმე დღეებით, მივლინების უფლებით, დასაქმებულის სხვა უფლებებით, ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკის, ბსუ-ს შინაგანაწესის, ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

დ) ისარგებლოს პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის უფლებით, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული პროფესიული განვითარების შესახებ რეგულაციის შესაბამისად;

ე) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის საქართველოს შრომის კოდექსით, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით, ბსუ-ს ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით ან/და ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებებით.

2.4. დამსაქმებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს დასაქმებულს „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით, ბსუ-ს შესაბამისი სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულება, ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში - გაატაროს მის მიმართ საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ღონისძიებები;

ბ) დასაქმებულის პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენის, პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების ან/და წახალისების მიზნით შეაფასოს დასაქმებული, საქართველოს კანონმდებლობისა და საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისად;

გ) დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების ღონისძიებები, ბსუ-ს შინაგანაწესის და პერსონალის პროფესიული განვითარებისა და წახალისების შესახებ სხვა საუნივერსიტეტო

რეგულაციების შესაბამისად, ხოლო დასაქმებულის მიერ ბსუ-ს ეთიკის კოდექსის დარღვევის, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში, გაატაროს მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები, საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს შინაგანაწესის შესაბამისად;

დ) გამოიყენოს და დაამუშაოს დასაქმებულის პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტაცია/ინფორმაცია, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული შრომითი ურთიერთობის მიზნებისათვის, ,,ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის" და ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად;

ე) განახორციელოს სხვა უფლებამოსილება, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდების, ეთიკის კოდექსის, პერსონალის მართვის პოლიტიკის, შინაგანაწესის ან/და უნივერსიტეტის სხვა მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების მოთხოვნებიდან.

2.5. დამსაქმებელი ვალდებულია:

ა) შექმნას და დაიცვას დასაქმებულის შრომისათვის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობები; შეუქმნას დასაქმებულებს ხელშემწყობი პირობები და მოტივაციის მიმცემი სამუშაო გარემო, არ დაუშვას დისკრიმინაცია; უზრუნველყოს უნივერსიტეტში გენდერულ თანასწორობასა და ოჯახის ღირებულებაზე ორიენტირებული, ღია, ინკლუზიური და ინტერკულტურული გარემოს არსებობა;

ბ) უზრუნველყოს დასაქმებულთათვის კარიერული წინსვლისა და განვითარების თანაბარი ხელმისაწვდომობა, ხელი შეუწყოს დასაქმებულის პროფესიულ/კვალიფიკაციის ზრდას, მის ხელთ არსებული შესაძლებლობისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში;

გ) ხელი შეუწყოს დასაქმებულს ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის საქართველოს შრომის კოდექსით, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით, ბსუ-ს ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით ან/და ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებებით.

მუხლი 3. შრომის ანაზღაურება

3.1. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციის შესრულებისათვის წინამდებარე შრომითი ხელშეკრულებით **არ არის განსაზღვრული შრომის** ანაზღაურება. ბსუ-ს სამართლებრივი აქტით პროგრამის ხელმძღვანელის შრომის ანაზღაურების ოდენობის დადგენის (განსაზღვრის) შემთხვევაში, აისახება წინამდებარე შრომით ხელშეკრულებაში, მხარეთა შეთანხმების (შრომით ხელშეკრულებაში ცვლილების/დამატების შეტანის) გაფორმების გზით.

3.2. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულის განხორციელებისათვის მოწვევის შემთხვევაში იღებს ცალკე შრომის ანაზღაურებას. მოწვეული პროფესიული განათლების მასწავლებლის 1 (ერთი) საათის შრომის საათობრივი ანაზღაურების ოდენობა (ტარიფი) შეადგენს: ---------- **ლარს,** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით (საფუძველი: ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ---------- წლის ---------- ბრძანება).

3.3. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შრომის ანაზღაურება გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით, დასაქმებულის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით, საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის", ბსუ-ს შინაგანაწესის, დასაქმებულის შრომითი დატვირთვის შესახებ ბსუ-ს სამართლებრივი აქტის და დასაქმებულთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 4. ხელშეკრულების ვადა და შეწყვეტის საფუძვლები

4.1. ხელშეკრულება ძალაშია წინამდებარე შრომით ხელშეკრულებაში აღნიშნული ბსუ-ს პროფესიული პროგრამის განხორციელების ვადით, ამ ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

4.2. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;

გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

დ) ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მარეგულირებელი ბსუ-ს მართვის ორგანოთა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევა;

ე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება (რომლის ხელმძღვანელია დასაქმებული);

ვ) მხარეთა შეთანხმება;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით, ბსუ-ს პროფესიული პროგრამის განხორციელების (ხელმძღვანელობის) მარეგულირებელი ან/და ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევა.

მუხლი 5. პერსონალური მონაცემების დამუშავება **და სხვა დებულებები**

5.1. დასაქმებული წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით **აცხადებს თანხმობას,** ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის და ,,ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის" მოთხოვნათა დაცვით დამუშავდეს მისი პერსონალური მონაცემები, ამ ხელშეკრულებაში აღნიშნული შრომითი ურთიერთობის/საქმიანობის ფარგლებში კანონიერი საჭიროებიდან, მათ შორის ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონისა და ამ კანონის აღსრულებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის №463 დადგენილების, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციისა და წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნული სამართლებრივი აქტების მოთხოვნებიდან გამომდინარე.

5.2. დასაქმებული ხელშეკრულებაზე ხელმოწერით **აცხადებს**, **რომ არ არის** „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება და ანიჭებს დამსაქმებელს აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმების უფლებას.

5.3. წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნული **დასაქმებულის განაცხადი,** ბსუ-ს ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესის, ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის და ბსუ-ს სხვა ძირითადი **რეგულაციების გაცნობის შესახებ,** ასევე მისი **პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე წერილობითი თანხმობის** ხელმოწერილი ფორმა (ფორმები) ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია და ინახება დასაქმებულის პირად საქმეში.

5.4. მხარეთა შორის სადავო საკითხები მოგვარდება შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში - სასამართლო წესით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.5. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება დამსაქმებელთან (ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულში), ხოლო მეორე გადაეცემა დასაქმებულს.

5.6. **მხარეთა რეკვიზიტები/საკონტაქტო ინფორმაცია და ხელმოწერები:**

,,დამსაქმებელი"	**,,დასაქმებული"**
	სახელი და გვარი _____

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ს/კ _____
მისამართი: ქ. ბათუმი,
რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
ბსუ-ს რექტორი

_____

ხელმოწერა

პ/ნ: _____
მისამართი: _____

_____

ტელ: _____
Email: _____
საბანკო რეკვიზიტები:

_____

_____

ხელმოწერა